

შპს „ციტრონ გრუპი“-ს

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ციტრონ გრუპი“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ციტრონ გრუპი				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
			ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	13747	551301	240900	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	76650	150	1110	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1285230	1754967	3409	3.3
მარაგები	4405985	1782397	957001	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	5324971	2701383	957001	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	438334	213871	31772	3.5
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	950			
ძირითადი საშუალებები	3885254	3865959	1214117	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11025136	9087631	2448309	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	4636024	3957648	31087	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8149	6386		
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	2208141	1474013	953073	3.8
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	301097	283092	48200	3.9
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6019771	3934865	1579194	3.10
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	13173182	9656004	2611554	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	300	300	300	3.11
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-2148346	-568673	-163545	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-2148046	-568373	-163245	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11025136	9087631	2448309	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.				
დირექტორი _____ გიორგი შერვაშიძე				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „ციტრონ გრუპი“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ციტრონ გრუპი				
საკმეიანობის შედეგები				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	2020	2019		
ნეტო ამონაგები	665781	803819		3.12
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან				
- მომსახურების გაწევიდან		145168		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	665781	658651		
- სხვა ამონაგები				
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-321754	-374885		
- საწყისი მარაგები				
- მარაგების შესყიდვა				
- გადამუშავების დანახარჯები				
- საბოლოო მარაგები				
საერთო მოგება	344027	428934		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	484	23347		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-287072	-255387		
ცვთა და ამორტიზაცია	-71220	-52709		
საპროცენტო შემოსავალი		5202		
საპროცენტო ხარჯი	-306431	-219478		3.13
იჯარის ხარჯი				
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-174459	-283573		3.14
სულ საოპერაციო ხარჯები	-769630	-782598		
საოპერაციო მოგება	-425603	-353664		
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება				
მ.შ. - ფინანსური აქტივების				
- მარაგების				
- სხვა არაფინანსური აქტივების				
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-1117162	-28139		
მიღებული დივიდენდები				
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	32160	-23325		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-1579673	-405128		
მოგების გადასახადის ხარჯი				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-1579673	-405128		
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)				
სხვა				
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-1579673	-405128		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-568373	-163245		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2148046	-568373		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.				
დირექტორი _____	გიორგი შერვაშიძე			3
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „ციტრონ გრუპი“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ციტრონ გრუპი		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1614281	-1695002
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-18634	-80714
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1081811	2104062
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-551104	328346
სავალუტო კურსის ეფექტი	13550	-17945
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	551301	240900
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	13747	551301
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.		
დირექტორი _____	გიორგი შერვაშიძე	
თანმზღუბი განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ციტრონ გრუპი“ (შემდგომში – *კომპანია*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445518609, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N45. ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიავას ქ. N53. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ფ/პ ნუგზარ ბაკურიძე (პ/ნ 61007004131), ხოლო ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ თინათინ კომახიძე (პ/ნ 61001031358).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ გიორგი შერვაშიძე (პ/ნ 61001008984).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და მათი რეალიზაცია და სასტუმრო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას, მშენებლობას, ახორციელებს ორ ლოკაციაზე - საქართველო, ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიავას ქ. N53 და ჩაქვი, ბათუმის N 32.

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო - შპს „ეკო გოდერძი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 445534226), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%, 2020 წლის 30 იანვრიდან.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 13 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგებს და ხარჯს, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. პროცენტული შესრულების მეთოდით).

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	862	2343	3159
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	12886	548958	237624
AirBnb-ით მოსული სტუმრების მიერ			117
სულ:	13747	551301	240900

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნის დიდი ნაწილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 76500 ლარი წარმოადგენს კომპანიის მიერ ერთ იურიდიულ პირზე ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მისაღებ მოთხოვნას.

3.3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების	101	132	204
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	1253909	1754835	3205
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები - გაცემული სესხები ლარში	31220		
სულ:	1285230	1754967	3409

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საქონელი			134
წარმომადგებლობითი მიზნით შეძენილი	2595	3690	
დაუმთავრებელი მშენებლობა - ფართები	5322377	2697693	956867
სულ:	5324972	2701383	957001

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

კომპანიის სხვა მიმდინარე აქტივები ფაქტობრივად მთლიანად შედგება მიღებული ავანსების გამო კომპანიის მიერ დაბეგრული, დეკლარირებული და ბიუჯეტში გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, რომლის შესაბამისი შემოსავლის აღიარების მომენტი ჯერ არ დამდგარა.

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მირის ნაკვეთები	2954030	60000		2894030	2360046		533984
დაუმთავრებელი მშენებლობა რემონტი	0	0		0	-3346		3346
სამშენებლო სარემონტო სამუშაოებზე გადასანაწილებელი მომ-ბა	7015	7015		0	0		0
შენობები	571548	0	25280	596828	-32815	24939	604704
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	19151	12475	1745	8420	4318	893	3209
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა)	57908	1142	8750	65515	61413	4103	0
ციტრონი ავეჯი სასტუმრო	31163	1564	5363	34963	-9005	5195	38772
ციტრონი ინვენტარი სასტუმრო	23098	3453	3770	23416	-3221	3399	23237
სპეციალური ინსტრუმენტები	1932	0	761	2693	-1522	761	3454
ციტრონი მცირეფასიანი ინვენტარი (ჭურჭელი) სასტუმრო	156	0	1501	1656	-2966	1497	3125
ციტრონი ელექტრო ტექნიკა სასტუმრო	0	0	61	61	-125	63	124
მსუბუქი ავტომობილები	30437	4841	1848	27444	25366	2078	0
ლოზინგით აღებული მსუბუქი ავტომობილები							
	188815	0	22055	210870	201188	9682	0
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	1	0	61	62	-198	99	161
სულ:	3885254	90490	71195	3865959	2599133	52709	1214117

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 137268 ლარს,

2019 წლის ბოლოს - 67603 ლარს.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	366644	878587	31087
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	4269380	3079061	
სულ:	4636024	3957648	31087

3.8. გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები - ბინების გაყიდვიდან / სამშენებლო კონტრაქტებიდან	1253807	520940	
მიღებული ავანსები - ბარტერით მიღებული მიწის ნაკვეთი ავანსად	953073	953073	953073
მიღებული ავანსები - სასტუმრო მომსახურებაზე	1261		
სულ:	2208140	1474013	953073

3.9. მოკლევადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	295571	111159	48200
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD		171933	
სალიზინგო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი ლარში	5526		
სულ:	301097	283092	48200

3.10. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია 204972155 - ლარი	14247	36156	
სს თიბისი ლიზინგი 205016560 - ლარი	107304	128354	
თი ბი სი ბანკი - სესხი აშშ დოლარი	5898220	3770355	1579194
სულ:	6019771	3934865	1579194

3.11. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის საწესდებო კაპიტალი მისი დაფუძნებისას განისაზღვრა 300 ლარის ოდენობით, რომელიც სრულად არის შევსებული.

3.12. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:

კომპანიის 2020 წლის ამონაგები მთლიანად შედგებოდა სამშენებლო კონტრაქტებით მიღებული შემოსავლებისაგან, ხოლო 2019 წელს ასევე სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგანაც. კომპანია სამშენებლო კონტრაქტებისგან მიღებულ ამონაგებს და ხარჯებს აღრიცხავს ე.წ. წილობრივი მეთოდით, რაც წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების შემთხვევაში საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისთვის არ ითვლება მიწოდებად.

3.13. საპროცენტო ხარჯი:

კომპანიის საპროცენტო ხარჯი მთლიანად შედგება სს თიბისი ბანკისაგან აღებული სესხის საპროცენტო ხარჯებისგან.

3.14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი	2019 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა	860	12336
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა	1883	
მარკეტინგული ხარჯები	17329	134135
საშუამავლო მომსახურების ხარჯები		1407
ელექტროენერგიის ხარჯები	6735	
გაზი, წყალი, დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	10185	11735
საკანცელარიო ხარჯები		505
კომპიუტერის ხარჯები		17
კომუნიკაციის ხარჯები	1645	1857
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	4597	4976
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	17500	
საგადასახადო ხარჯები	10217	8156
საბანკო ხარჯები	9133	31459
ხარჯები კონვერტაციიდან	12108	18379
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომანქანებისა)	2781	12772
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	209	
წარმომადგენლობითი ხარჯები	4290	3910
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	61434	28229
საქველმოქმედო ხარჯები	13088	824
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება	464	12877
სულ:	174459	283573

3.15. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს ციტრონ გრუპი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

შენიშვნა

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	13747	551301	240900	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	76650	150	1110	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1285230	1754967	3409	3.3
მარაგები	4405985	1782397	957001	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	5324971	2701383	957001	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	438334	213871	31772	3.5
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	950			
ძირითადი საშუალებები	3885254	3865959	1214117	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11025136	9087631	2448309	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	4636024	3957648	31087	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიტეხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8149	6386		
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	2208141	1474013	953073	3.8
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	301097	283092	48200	3.9
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6019771	3934865	1579194	3.10
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	13173182	9656004	2611554	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	300	300	300	3.11
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-2148346	-568673	-163545	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-2148046	-568373	-163245	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11025136	9087631	2448309	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი



გიორგი შერვაშიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

ერთეული: I GEL

შენიშვნა

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
ნეტო ამონაგები	665781	803819
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		
- მომსახურების გაწევიდან		145168
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	665781	658651
- სხვა ამონაგები		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-321754	-374885
- საწყისი მარაგები		
- მარაგების შესყიდვა		
- გადამუშავების დანახარჯები		
- საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	344027	428934
სხვა საოპერაციო შემოსავალი	484	23347
დასაქმებულთა ანაზღაურება	-287072	-255387
ცვეთა და ამორტიზაცია	-71220	-52709
საპროცენტო შემოსავალი		5202
საპროცენტო ხარჯი	-306431	-219478
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-174459	-283573
სულ საოპერაციო ხარჯები	-769630	-782598
საოპერაციო მოგება	-425603	-353664
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		
მ.შ. - ფინანსური აქტივების		
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-1117162	-28139
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	32160	-23325
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-1579673	-405128
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-1579673	-405128
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-1579673	-405128
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-568373	-163245
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2148046	-568373

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი



გიორგი შერვაშიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: I GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1614281	-1695002
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-18634	-80714
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1081811	2104062
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-551104	328346
სავალუტო კურსის ეფექტი	13550	-17945
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	551301	240900
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	13747	551301

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი _____



გიორგი შერვაშიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.